რელიგიურობის განზომილებების კავშირი წინარწმენასთან

ვერიკო ქაქუჩაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ირინა ვარდანაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. ნებისმიერი სახის ანალიზი ჩემს მიერაა შექმნილი და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ , გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

ვერიკო ქაქუჩაია

აბსტრაქტი

მრავალმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ რელიგიური ადამიანები წინარწმენის უფრო დაბალ დონეს ავლენენ, ამასთან ლიტერატურის მიმოხილვაში ვკითხულობთ, რომ რელიგიისა და წინარწმენის კავშირის გასაგებად, მნიშვნელოვანია განიხილონ წინარწმენის მიზანი, ასევე რელიგიის მრავალმხრივი ხასიათი. 150 სტუდენტისგან შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, წინამდებარე კვლევაში აღმოჩნდა, რომ რელიგიურობის განსხვავებული განზომილებები, განსხვავებულად არიან დაკავშირებულნი წინარწმენასთან. კერძოდ, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გარეგანი რელიგიური ორიენტაციის მქონე ახალგაზრდები სექსუალური უმცირესობების მიმართ მაღალი სოციალური დისტანციით გამოირჩევიან, რაც ფაქტობრივად, ხელს უწყობს მათში წინარწმენის ჩამოყალიბებას. შინაგანი რელიგიურობის ინდივიდები მეტად შემწყნარებლები არიან სექსუალური უმცირესობების მიმართ და შესაბამისად, ნაკლებად ხასიათდებიან წინარწმენით. კვლევის მნიშვნელოვანი შედეგია, ასევე, რომ ძიებითი რელიგიური ორიენტაცია ახალგაზრდებში შინაგან და გარეგან რელიგიურობაზე მეტად გავრცელებულია და, როგორც, კვლევის ყველაზე დიდი ჯგუფი, სექსუალური უმცირესობების მიმართ წინარწმენით არ ხასიათდებიან.

Abstract

Numerous stydies have found that religious people display higher levels of prejudice. However, we read in the literature review that in order to understand the connection between religious and prejudice, it is important to consider the purpose of prejudice and As well as various characters of religious. Based on data collected from 150 students, the present study found that different dimensions of religiosity were differently related to prejudice. In particular, the study found that young people with an external religious orientation have a high social distance, towards sexual minorities which , in fact, contributes to the formation of prejudices in them. Individuals of intrinsic religiosity are more tolerant. An important finding of the study is also that quest religious orientatin is more prevalent among young people, than internal and external religiosity. As the largest group of study is not characterized by prejudice against sexual minorities.